ხელშეკრულება 14/05
მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 31 მაისი 2016 წ

ერთის მხრივ, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისი წარმომადგენლის გიორგი ლობჯანიძის სახით (შემდგომში–*შემკვეთი)* და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. " თვითმმართველობა",** საიდ. კოდი 437062642, წარმოდგენილი მისი დირექტორის ფიქრია თავაძის სახით, (შემდგომში–*შემსრულებელი*). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემკვეთის დავალებით, შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსრულებლის მიერ შემდეგი სახის მომსახურების გაწევა: საინფორმაციო მომსახურეობის გაწევა, რაც გამოიხატება მის მიერ გამოცემული გაზეთის ყოველი კალენდარული თვეში ერთხელ მიწოდებაში შემკვეთის მიერ განსაზღვრულ ადგილას, შემკვეთს ყოველ თვე მიეწოდება გაზეთის 30 ეგზემპლიარი წლის ბოლომდე, ასევე გაზეთის ერთი გვერდი ყოველ თვე დაეთმობა შემკვეთის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

2. მომსახურების წესი

2.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას შემკვეთზე მომსახურების გაწევის მიზნით, მის მიერ გამოცემული გაზეთი, გადასცეს შ.პ.ს. „საქ. პრესას", დისტრიბუცია/მიწოდებისათვის დადგენილ ვადებში.
2.2. მხარეთა მიერ შეთანხმებულია მისაწოდებელი პროდუქტის/მასალის პარამეტრები, ხარისხი, შრიფტი, რაოდენობა.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი მომსახურების ღირებულება შეადგენს 1000 (ერთი ათასი) ლარს.
3.2. შემკვეთი ვალდებულია დადგენილ ვადაში გადაუხადოს შემსრულებელს გაწეულ მომსახურებაში 1000 ლარი.
შეთანხმებული საზღაურის გადახდა შემკვეთის მიერ მოხდება ინვოისის წარმოდგენისას 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.3.გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივად ხელმოწერის შემდეგ.

3.4. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შემსრულებლის მიერ ამ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, სახელშეკრულებო პირობები შეასრულონ ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.
4.2. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისასთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4.3. ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, დამრღვევი მხარე პირგასამტეხლოს სახით, გადაიხდის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების 0,03%-ს ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე.
4.4. პირგასამტეხლოს გადახდა მხარეს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისაგან.

5. ფორს–მაჟორი

5.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

6. დავა

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 თებერვლამდე;

8.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდეც შეწყდეს, ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. მომსახურებასთან ან ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემკვეთი	შემსრულებელი
ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა საიდ.კოდი: 237978275 მის: ონი, აღმაშენებლის მოედანი N1 ელ.ფოსტა: onisgamgeoba@gmail.com ტელ: 551 550403 სახაზინო კოდი: TRESGE22 ანგ.ნომერი:GE24NB0330100165022 გამგებელი: გიორგი ლობჯანიძე	შ.პ.ს. ,,თვითმმართველობა" საიდ. კოდი: 437062642 მის: სანზონის 28. მე-2 სად.ბინა 40 ელ.ფოსტა: Tvitmmartvelobaa@gmail.com ტელ: 0322 61 52 32 მობ: 551 48 86 99 საბანკო კოდი: TBCBGE 22 ანგ.ნომერი:GE96TB7772436080100001 დირექტორი: ფიქრია თავაძე
ხელმოწერა	ხელმოწერა